საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-219

ქ. თბილისი

18/03/2022

სიღნაღის მუნიციპალიტეტში, შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ქ. სიღნაღისა და ქ. წნორის საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.6 ქვეპუნქტის, ასევე მე-9 პუნქტის 9.6 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ქ. სიღნაღისა და ქ. წნორის საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა №11 (01.03.2022);
2. შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №11 (01.03.2022) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და სიღნაღის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი